საქართველოს მთავრობის

განკარგულება №1940

2020 წლის 6 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის 8^2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები:

„გ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვის მიზნით, სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას გამოეყოს 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი) ლარის რესურსი;

დ) დაევალოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, უზრუნველყოს ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი ფინანსური რესურსის სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისთვის გადარიცხვა, პროგრამული კოდით 24 07 03 („ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე ეკონომიკის ხელშეწყობის ღონისძიებები“) გათვალისწინებული სახსრებიდან.“.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტის თანახმად, სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ მიღებული შემოსავალი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჩაითვალოს საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებულად და მიღებული სახსრები ასახულ იქნეს სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებაში.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**